http://notary.naprvpn/notary/CoverPage.do?variant=2&actid=13372028

სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციის ნომერი
94485803807613

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## გადახდის განვადების უფლებით უძრავი ნივთის ნასყიდობა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N131321315**

რეგისტრაციის თარიღი

**20.12.2013 წ**

ნოტარიუსი: მერი მერაბიშვილი
მისამართი: ქ.რუსთავი, თოდრიას ქუჩა #17/65
ტელეფონი: 5(99)564021; ოფისი 0(341)280749

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

## გადახდის განვადების უფლებით უძრავი ნივთის ნასყიდობა

1. ორი ათას ცამეტი წლის ოც დეკემბერს გაგა ბითაძემ, რომელიც ხელშეკრულებაში მოხსენიებული არის, როგორც „გამყიდველი", რაის გასანოვს, რომელიც ხელშეკრულებაში მოხსენიებული არის, როგორც „მყიდველი" მიჰყიდა უძრავი ქონება, რომელიც ხელშეკრულებაში მოხსენიებულია, როგორც „ნასყიდობის საგანი".

2. ნასყიდობის საგანი არის უძრავი ქონება – **მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე საცხოვრებელი სახლი, მდებარე მისამართზე: გარდაბანი, სოფელი ყარათაკლია.**

3. მთელი უძრავი ქონების, ნასყიდობის საგნის, მახასიათებლებია:

საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| გარდაბანი | ალთაკლია | | |
| 81 | 06 | 14 | 201 |

მისამართი: გარდაბანი , სოფელი ყარათაკლია
ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:2100.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: საცხოვრებელი სახლი
საერთო ფართი 120.0 კვ.მ.
მესაკუთრეები:
**გაგა ბითაძე , პირადი ნომერი:57001007815**
მესაკუთრე: აღწერა:
**გაგა ბითაძე**

4. ნასყიდობის საგანი საკუთრების უფლებით ეკუთვნის გამყიდველს – **გაგა ბითაძეს**, რაც შემოწმებული და დადასტურებულია შემდეგი დოკუმენტით: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის №882010757660-24/08/2010, მომზადების თარიღი: 30/08/2010, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №81.06.14.201.

მხარეთა განცხადებით ნასყიდობის საგანი გაიყიდა 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარად. მყიდველმა გამყიდველს ნასყიდობის ფასი უნდა გადაუხადოს შემდეგი გრაფიკის დაცვით: 5 000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა უნდა მოხდეს ხელშეკრულების დამოწმებისთანავე ნოტარიუსის დაუსწრებლად, ხოლო 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარს გაგა ბითაძე მიიღებს 3 წლიწადში 2016 წლის 25 დეკემბრამდე, ყოველწლიურად 15 (თხუთმეტი ათასი) ლარს 2014წლის 25 დეკემბრამდე, 15 (თხუთმეტი ათასი) ლარს 2015წლის 25 დეკემბრამდე და 15 (თხუთმეტი ათასი) ლარს 2016წლის 25 დეკემბრამდე. აქედან გამომდინარე ხელშეკრულების გაფორმების ბოლო ვადაა 2016 წლის 25 დეკემბერი

6. *მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე ნასყიდობის საგნის მყიდველი მესაკუთრედ აღირიცხება საჯარო რეესტრში. ამასთანავე, ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე მყიდველს ეკრძალება ნასყიდობის საგნის გაყიდვა და იპოთეკით დატვირთვა, რის შესახებაც გაკეთდება შესაბამისი ჩანაწერი საჯარო რეესტრში.* მყიდველის (რაის გასანოვის) მიერ დათქმულ ვადაში ნასყიდობის ფასის გადაუხდელობის შემთხვევაში უკვე გადახდილი თანხიდან უბრუნდება მყიდველს (რაის გასანოვს) 50%, ხოლო 50% რჩება გამყიდველს (გაგა ბითაძეს), რისთვისაც მხარეებს შორის დაწესდეს გონივრული ვადა ქონების რეალიზაციისათვის, ქონების რეალიზაციის შემდეგ რაის გასანოვს დაუბრუნდება 50%. ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელ თანხას დაეკისრება ჯარიმა 0.5%. ერთი თვის გადაცილების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულება დაექვემდებარება გაუქმებას.

ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის შემდეგ მხარეები ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს ნასყიდობის საგანზე ყოველგვარი შეზღუდვის მოხსნის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი არ, ან ვერ შეძლებს ერთობლივ განცხადებაზე ხელმოწერას, მაშინ მყიდველი უფლებამოსილია ნასყიდობის ფასი გადაიხადოს ნოტარიუსისათვის ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილის გადაცემით გამყიდველისათვის გადახდის მიზნით. ნოტარიუსის მიერ გაცემული მოწმობა ნასყიდობის ფასის გადახდის შესახებ არის საჯარო რეესტრში შეზღუდვის მოხსნის საფუძველი. მყიდველი ასევე უფლებამოსილია თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ვერ შეძლებს ნასყიდობის ფასის სრულად გადახდას, მხარეებს უფლება აქვთ ურთიერთშეთანხმებით გააგრძელონ ნასყიდობის ფასის გადახდის ვადა, წინამდებარე ხელშეკრულებაში სანოტარო წესით დამოწმებული შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს დაუბრუნონ ის, რაც მიიღეს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველი გადახდილ ნასყიდობის ფასს მიიღებს აღნიშნული ქონების გაყიდვის შემდეგ. გაყიდვის ვადად დადგინდეს ორი თვე.